ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1166079

ნომერი: AR1203022

თარიღი : 10.03.2014

გაცემის თარიღი : 13.03.2014

გაცნობის თარიღი : 14.03.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 15 კორპ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანოზი რეხვიაშვილი პ/ნ 01009010054
- თბილისი,ვაჟა ფშაველას გამზ. მე-7 კვ კორპ.15 ბ.ამზ

ორგანიზაცია:

- სს "მაცნე" კოდი: 211358895

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა შორი მანძილიდან და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი (ზომების მითითებით), ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროა დაზუსტდეს სარეკლამო აბრების ვიზუალი და განახლებულ ფოტომონტაჟზე მიეთითოს საპროექტო კიბის ზომები;

ამასთან გაცნობებთ, რომ სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული

აქვე გაითვალისწინეთ, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი (თქვენ შემთხვევაში სარეკლამო აბრის) გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად. ხოლო იმ შემთხვევაში თუ არქიტექტურული დეტალი (სარეკლამო აბრა) ეწყობა გრუნტის ზედაპირიდან 2.7 მ-დან 4.5 სიმაღლეზე ტროტუარის კიდის ვერტიკალურ წარმოსახვითი სიბრტყიდან ასეთ არქიტექტურულ ნაწილებამდე, მათ შორის საყრდენ სვეტებამდე დარჩენილი, ბუნებრივი (ხე-ნარგავები, გაზონი) ან/და ხელოვნური (განათების ბოძი, მცირე არქიტექტურული ფორმები) წინაღობისაგან თავისუფალი, გასავლელის სიგანე უნდა იყოს მინიმუმ 0.8 მ.

ვინაიდან ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან ერთად ხდება სარეკლამო აბრების მოწყობა თქვენ მიერ არჩეულ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით უნდა აირჩიოთ "სარეკლამო აბრების მოწყობა".

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.